ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №33

17.11.2023 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
15:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
3. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
4. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
5. ნინო წულაძე - კომისიის წევრი;
6. ბარბარა ჯიმელი სულაშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032331753-03; 13.11.2023);

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023);

3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023);

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023).

მომხსენებლები:

- **მაია გრძელიძე -** თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

შ.ოგბაიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა, წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი:**

მ.გრძელიძე - პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 1 700,912.4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632,132.6 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 68,779.8 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 542 391,1 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 223 111,1 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 213 611,1 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 879,5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 685.2 ათასი ლარი;
- განათლება - 246 047,1 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 297,0 ათასი ლარი;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 239 059,3 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 645 812.4 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: გადასახადები 918 661,8 ათასი ლარი; გრანტები 446 590,0 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 6 000,0 ათასი ლარი (მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 1 000,0 ათასი ლარი. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განსაზღვრულია 280 560,6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე 1,095.0 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 1 421 932,3 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 128 079,5 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 182 696,0 ათასი ლარი, პროცენტი 46 942,1 ათასი ლარი, სუბსიდიები 637 757,3 ათასი ლარი, გრანტები 1 466,7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 146 151,2 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 278 839,5 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2024 წლის ბოლოსთვის განისაზღვრა 769 050,5 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - ვალის ნაშთი 2024 წლის ბოლოსათვის შეადგენს 16,673.8 ლარს. თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - ვალის ნაშთი 2024 წლის ბოლოსათვის განსაზღვრულია 199,645.0 ლარის ოდენობით. თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 199,871.8 ლარის ოდენობით. მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა - 135,449.3 ლარის ოდენობით. ხოლო თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი - 145,824.1 ლარის ოდენობით.

პროექტის თანახმად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განსაზღვრულია 4,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 50 626,9 ათას ლარით, რაც ნიშნავს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (კოდი 01 02) განსაზღვრულია 449,185.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების დაფინასება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) 40,558.0 ათასი ლარით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას: დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, ბოწკინტების, ზღუდარების, ბარიერების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის ხელოვნური უსწორმასწორებების (ბორცვები) დამონტაჟება; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ახალი საგზაო ნიშნების დამონტაჟება; შუქნიშნის ახალი ობიექტების დაყენება. საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის ქუჩებსა და მაგისტრალებზე არსებულ მრუდეებზე (მოსახვევებში) ანტი-ვანდალური სფერული სარკეების მოწყობა; ერთკომპონენტიანი საღებავით ჰორიზონტალური და ვერტიკალური, თერმოპლასტით და ცივი პლასტით საგზაო მონიშვნის სამუშაოების ჩატარება; თბილისის მაშტაბით ელექტრო ავტომანქანების დასატენი მოწყობილობების დამონტაჟება; ტრანსპორტის განვითარების გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება, „ჭკვიანი

სატრანსპორტო სისტემების“ განახლება-განვითარება, ახალი ავტობაზის პროექტირება-მშენებლობა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 122,773.4 ათასი ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მეტროს ვაგონების კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით. აგრეთვე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, ,,თბილისის ავტობუსების პროექტის" ფარგლებში გაგრძელდება საავტობუსო პარკის განახლება-შევსება.

- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა (კოდი: 01 02 03) 2, 783.3 ათასი ლარით. ზოგიერთი მეტროს სადგურის ვესტიბიული ექვემდებარება გადაუდებელ კაპიტალურ რემონტს. გამომდინარე აქედან, ქვეპროგრამის მიზანია მათი განახლება, რეკონსტრუქცია და მეტროსადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად პროექტების შეძენა.

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი: 01 02 05) 283,070.4 ათასი ლარით. ქვეპროგრამის მიზანია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში, სუბსიდიის სახით ფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და „უნივერსიტეტი-ბაგები“ საბაგიროს სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, დაფინანსდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მომსახურების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები.

- მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) (კოდი 10 23) 2,940.0 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება თბილისში მდგრადი მობილობის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: 1) გონიერი სატრანსპორტო სისტემა, ე.ი. მართვის ცენტრი მონაცემთა პლატფორმით, სენსორებითა და სიგნალიზაციის ტექნოლოგიით, რაც გამოიყენება სამანქანო ნაკადებისა და პარკირების ადგილების რეალურ დროში მონიტორინგისა და მართვისათვის; 2) ე.წ. მწვანე დერეფნები, რაც გულისხმობს შერჩეული სატრანსპორტო დერეფნებისათვის ქუჩის ახალი დიზაინის შემუშავებას, მათ შორის სწრაფი საავტობუსე სავალი გზების მოწყობასა და ველო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

- თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტი (კოდი 10 25) 7,590.0 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება მეტროს სადგურების რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას.

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) 12,895.7 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში

განხორციელდა საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის (euro 6) ადაპტირებული ავტობუსებით.

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) 29,821.2 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის ადაპტირებული ავტობუსებით. ასევე, ავტობაზის მშენებლობა.

- თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) 27,504.3 ათასი ლარით. პროგრამა ემსახურება მეტროს რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შესყიდვა, დეპოს და შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია.

ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს დაგეგმილი კაპიტალური (საინვესტიციო) პროექტებიდან უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება. მათ შორის, №4 ავტობაზის მშენებლობის საკითხი. აღნიშნული პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 60,495.9 ათას ლარს და 2024 წლის ბიუჯეტის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ქვეპროგრამის (კოდი 01 02 01) ფარგლებში 24,198.4 ათასი ლარის ოდენობით დაფინანსდება. საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის ქვეპროგრამის (კოდი 01 02 02) ფარგლებში 2024 წელს შეძენილი იქნება CNG-ის ძრავზე მომუშავე ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსები, პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 266,164.3 ათას ლარს, ხოლო 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 113,082.1 ათასი ლარი. პროექტის ფარგლებში, შესყიდული იქნება 160 ერთეული, დაბალ იატაკიანი, ШМ ადაპტირებული, ევრო სტანდარტის შესაბამისი ახალი ავტობუსები. ასევე, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობის ქვეპროგრამის (კოდი 01 02 03) ფარგლებში 2024 წელს 2,783.3 ათასი ლარით დაფინანსდება მეტროსადგურ ვარკეთილის სარეაბილიტაციო სამუშაოები, პროექტის მთლიანი ღირებულება 13,611.3 ათას ლარს შეადგენს. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, რამდენიმე პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებების ფარგლებში 2024 წელს 7,825.70 ათასი ლარის ოდენობით დაფინანსდება წერეთლის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა–რეკონსტრუქციის (კოდი: 02 01) პროგრამის ფარგლებში 5,048.5 ათასი ლარით დაფინანსდება უნივერსიტეტის ქუჩისა და წყნეთის გზატკეცილის (ბაგები) დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა. პროექტი ითვალისწინებს ვაკისა და საბურთალოს უბნებს შორის არსებულ ვერეს კალაპოტზე ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობას. ხიდის სავარაუდო სიგრძე იქნება 450 მეტრი, გათვალისწინებული იქნება ორმხრივი საავტომობილო გზა. თითოეული 6 მეტრიანი ორ-ორი ზოლით. ცალკე გამოყოფილი იქნება ფეხითმოსიაულეთა სავალი ნაწილი მოძრაობის ორივე მიმართულებით. განხილული იქნება საველოსიპედო ბილიკისა და BUS LANE-ის მოწყობის შესაძლებლობა.

შ.ოგბაიძე - მიგვაჩნია, რომ მთლიანობაში, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის, მათ შორის, ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი/განსახორციელებელი ღონისძიებები კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება მასშტაბური პროექტები, შედეგად, მოსალოდნელია ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა გაუმჯობესებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო საშუალებების მოწესრიგებული მოძრაობა, თბილისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მომსახურეობის გაუმჯობესება, განახლებული, კომფორტული, უსაფრთხო, თანამედროვე და ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (ავტობუსები, ვაგონები), ახალი ავტობაზის პროექტირება-მშენებლობა. თუმცა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში ქვეპროგრამისთვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) გათვალისწინებულია 40,558.0 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება. მათ შორის, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაცია. ასევე, ავტობაზების მოდერნიზება და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მეტროს ვაგონები საჭიროებს ლიანდაგმზომი აპარატურით აღჭურვას ან ახალი ლიანდაგმზომით უზრუნველყოფას. გარდა ამისა, რეაბილიტაციას საჭიროებს №2 და №3 ავტობაზები. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებების ქვეპროგრამის (კოდი 01 02 01) ფარგლებში დამატებითი თანხების გათვალისწინება. გარდა ამისა, ქვეპროგრამისთვის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 283,070.4 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების სრულყოფილი ფუნქციონირების, მათ შორის საოპერაციო ხარჯები. კერძოდ, M3 კატეგორიის ავტობუსების მომსახურების, შრომის ანაზღაურების, საწვავის და სხვა სახის ხარჯები. აღნიშნული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მიზანშეწონილია, რომ მოხდეს ქვეპროგრამისთვის დამატებითი თანხების გათვალისწინება.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

კითხვების ამოწურვის შემდეგ, შ.ოგბაიძემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი და ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი“ მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით, გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**

საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით დამტკიცებული სააგენტოს დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტით, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს „გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სქემების მომზადება ან/და შეთანხმება“, ხოლო მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტოს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურის უფლებამოსილებებს მიეკუთვნება: „გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადება და შეთანხმება ან/და შესათანხმებლად წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან“, „მშენებლობის ნებართვის არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისას ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადება და შეთანხმება ან/და შესათანხმებლად წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან“.

იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულებით ამ იურიდიული პირის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებამოსილებას განეკუთვნება ზემოაღნიშნული სქემების დამზადება, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ფუნქციიდან, აგრეთვე საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამსახურის უფლებამოსილებებიდან სქემების მომზადების ამოღება, რის გამოც, მომზადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების თაობაზე წარმოდგენილი პროექტი. უფრო კონკრეტულად:

დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჭ“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ჭ) გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სქემების შეთანხმება;“.
მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„ბ) გზებზე, საგზაო ნაგებობებზე, მიწისქვეშა კომუნიკაციებზე და რკინიგზის გადასასვლელებზე ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმება ან/და შესათანხმებლად წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან;

გ) მშენებლობის ნებართვის არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისას ჩასატარებელი სამშენებლო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დროებითი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შეთანხმება ან/და შესათანხმებლად წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობასთან;“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში და ცვლილებები ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ:

ა) მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში სწორდება შინაარსობრივი და ტექნიკური უზუსტობები, მათ შორის, ამოღებულია საგზაო მოძრაობის დროებითი და მუდმივი სქემების მომზადების შესაძლებლობა და რჩება მხოლოდ წარმოდგენილი სქემების შეთანხმება;

ბ) მე-5 მუხლს ემატება 4^1-4^4 პუნქტები, რომლითაც განისაზღვრება ვადები და მომსახურების საფასურები განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების და მისი კორექტირებული ვარიანტის, ასევე განაშენიანების რეგულირების გეგმებისა და კორექტირებული ვარიანტის განხილვისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N31-74 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში და დადგენილების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

4) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებები გათავისუფლდეს დადგენილი დროის მონაკვეთისა და ზონალური პარკირების საფასურების გადახდისგან“.

ასევე, ამავე დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის მე-12 და მე-13 პუნქტები:

12) „ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი და 21 პუნქტების შესაბამისად გადახდილი სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას“.

აღსანიშნავია, რომ სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომერზე გადახდილი პარკირების საფასური აქტიურდება გადახდის მომენტიდან და გადახდილად ითვლება გადახდილი პარკირების საფასურის ვადის ამოწურვამდე, ასევე, პარკირების საფასური ფიქსირებულად დადგენილია და მიბმულია კალენდარულ დღეებზე. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია განხორციელდეს ამ კალენდარული დღეების გამოკლება დადგენილი ფიქსირებული პარკირების საფასურიდან, ასევე, შეუძლებელია დადგინდეს გადახდის მომენტიდან იყენებდა თუ არა მოქალაქე პარკირების ადგილ(ებ)ს გასულ კალენდარულ დღეებში, სწორედ ამიტომ დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლს ემატება მე-12 პუნქტი, რომლის მიხედვითაც „ამ დადგენილების მე-3 მუხლის პირველი და 2^1 პუნქტების შესაბამისად გადახდილი სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასური არ ექვემდებარება დაბრუნებას“.

13) „ზონის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის გადახდის მიზნით ჩარიცხული თანხა, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ექვემდებარება დაბრუნებას“.

მოცემული ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ხშირია შემთხვევები, როცა მოქალაქეები ზონის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის გადახდისას შეცდომით რიცხავენ თანხებს და ითხოვენ შეცდომით ჩარიცხული თანხების უკან დაბრუნებას. ვინაიდან, დღეს მოქმედი წესის რედაქცია არ იძლევა საფუძველს მოქალაქეს პირადი ბალანსიდან შეცდომით ჩარიცხული თანხა უკან დაუბრუნდეს, შემუშავდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, „ზონის მიხედვით სატრანსპორტო საშუალების პარკირების საფასურის გადახდის მიზნით ჩარიცხული თანხა, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ექვემდებარება დაბრუნებას“.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03233207-03; 16.11.2023) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე